

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას და შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეატნის თაობაზე

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2013 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კახა კალაძის მიერ;

მეორეს მხრივ, შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“) სადიდენტოფიკაციო კოდი: 205270810, წარმოდგენილი მისი დირექტორის ასელ შულენბაევის მიერ;

მესამე მხრივ, სს ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორაევის მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ნოემბრის N1939 განკარგულებით, საქართველოს მთავრობასა და შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობის შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერი“-ს მიერ დარღვევის გამო, უნდა განხორციელდებოდა შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერი“-ს მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 18 ივლისის #PE28996-12 საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის (1 020 000 აშშ დოლარი) სრული ოდენობით მოთხოვნა საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ,

იმის გათვალისწინებით, რომ რომ დღეისათვის საგარანტიო თანხის მოთხოვნის წერილი ბანკში წარდგენილი არ არის, ვინაიდან ხსენებული განკარგულების გამოცემიდან მალევე მიღებულ იქნა შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ წერილი, რომლითაც კომპანია ითხოვს, რომ არ განხორციელდეს საგარანტიო თანხის გამოთხოვნა და ჰესის მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადად განისაზღვროს 2013 წლის 1 სექტემბერი, რის სანაცვლოდ, კომპანია გვთავაზობს არსებული 1 020 000 აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის გაზრდას 1 666 000 აშშ დოლარამდე,

ასევე მის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის 29 იანვარს გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის N130 განკარგულება 2009 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობასა და შპს „ბაზვი



ჰაიდრო პაუერს“ შორის დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ, კერძოდ ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ნოემბრის N1939 განკარგულება საბანკო გარანტიის აღსრულების და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერთან“ შესაბამისი შეთანხმების გაფორმების თაობაზე,

შესაბამისად მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეიცვალოს მთავრობასა და კომპანიას შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით (შემდგომში წოდებული, როგორც „მემორანდუმი“) გათვალისწინებული ბახვი 3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა და განისაზღვროს 2013 წლის 1 სექტემბრით. შესაბამისად შეიცვალოს მემორანდუმის დანართი N4 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმების დანართის სახით;
2. შეიცვალოს მემორანდუმის 3.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.6 კომპანიის მიერ, ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების უზრუნველსაყოფად, მთავრობაზე გაცემულია საბანკო გარანტია, ჯამში 1 666 000 აშშ დოლარის ოდენობით (ასლი თან ერთვის).
3.6.1 მთავრობა უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საბანკო გარანტია, მოითხოვოს და მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემდეგ შემთხვევებში:
ა) კომპანიის მიერ, ობიექტის მშენებლობის დაწყების, ან/და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ვადების დარღვევის/გადაცდენის შემთხვევაში.
ბ) კომპანიის მიერ, ობიექტისათვის წინამდებარე მემორანდუმით ან მისი დანართებით გათვალისწინებული სხვა პირობების დაუცველობის შემთხვევაში.
3.6.2 კომპანიის მიერ მთავრობისათვის გადაცემული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო გადაიწია (გაგრძელდა) ამ მემორანდუმით გათვალისწინებული, ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვების ვადა, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება ან იმავე პირობებით ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. კომპანიის მიერ ასეთი მოთხოვნის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს გარანტიის გამცემ ბანკს იმ დროს მოქმედი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.“
3. მემორანდუმის 3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.12 პუნქტი.
„კომპანია ვალდებულია აწარმოოს ბახვი 3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მოქმედი კანონმდებლობის, გარემოსდაცვითი, სამშენებლო და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით“.

4. კომპანია ვალდებულია:

- 4.1 წინამდებარე შეთანხმების დადებიდან 30 დღის ვადაში, მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით წარამოდგენილი საბანკო გარანტიის ოდენობა გაზარდოს 1 666 000 აშშ დოლარამდე, ხოლო მისი მოქმედების ვადა გააგრძელოს 2013 წლის 1 ნოემბრამდე;
- 4.2 უზრუნველყოს 2012 წლის სექტემბერში მომხდარი შემთხვევით (მეწყერი) გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- 5. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი;
- 6. წინამდებარე შეთანხმება, გარდა პირველი და მეორე პუნქტებისა, ძალშია მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის დღიდან. წინამდებარე შეთანხმების პირველი და მეორე პუნქტები ძალაშია კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების 4.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დღიდან;
- 7. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ-ინგლისურ ენებზე 3-3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ამასთან ინტერპრეტაციის დროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ეგზემპლარს.

8. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობის
კაბა კალაძე



შპს „ბახვი ჰაიდროპოვერ“
ასელ შულენბაივა



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ირინა შილორავა



მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები

N	დასახელება	ნებართვის მიღება	სამშენებლო სამუშაოები	ექსპლუატაციაში გაშვება
1	ბახვი III ჰესი	დაწყება: მაისი 2009	დაწყება: ოქტომბერი 2011	გამოსაცდელი პერიოდი: 1 სექტემბერი 2013
		დამთავრება: ოქტომბერი 2011	დამთავრება: 1 სექტემბერი 2013	ამუშავება: 1 სექტემბერი 2013


საქართველოს მთავრობის

კახა კალაძე



შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ“

ასელ მულენბაევა



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ირინა მილოშენკო



A G R E E M E N T

On Amendment of the Memorandum of understanding signed between the Government of Georgia
and "Bakhvi Hydro Power" LLC on October 27, 2011.

The present agreement is signed on February 27, 2013.

Government of Georgia – (hereinafter referred to as: "Government") represented by the Minister of Energy and Natural Resources of Georgia, Mr Kakha Kaladze;

"Bakhvi Hydro Power" LLC - (hereinafter referred to as: "Company") Identification Code: 205270810, represented by its Director Assel Shulenbaeva;

JSC "Electricity System Commercial Operator" - (hereinafter referred to as: "ESCO") represented by its General Director Irina Milorava.

Whereas the "Bakhvi Hydro Power" LLC has breached the term of the Memorandum of Understanding signed between the Government of Georgia and "Bakhvi Hydro Power" LLC on October 27, 2011, the Government of Georgia on 19th of November 2012 has issued the Decree N1939 on withdrawal of the bank guarantee NPE28996-12 provided by the "Bakhvi Hydro Power" LLC on 18th of July, 2012 in an amount of 1 020 000.00 USD.

Whereas the Government has not yet demanded the bank guarantee and the letter to the relevant bank is not presented, also considering the fact that shortly after the Government's abovementioned Decree the company requested to hold the procedure connected with the bank guarantee withdrawal and asked for the postponement of the dates of completing construction works and commencement of operations until September 1st 2013, instead the Company offers to increase the existing bank guarantee in amount of 1 020 000.00 USD up to the amount of 1 666 000.00 USD,

Whereas the Government of Georgia on January 29th 2013 has issued the Decree N130 on the measures to be taken within the Memorandum of Understanding signed between the Government of Georgia and "Bakhvi Hydro Power" LLC. This Decree has declared void the Decree N1939 of Government of Georgia issued on November 19th 2012 on withdrawal of the bank guarantee and has determined the terms and conditions for the relevant Agreement to be signed between the Government of Georgia and "Bakhvi Hydro Power" LLC,

Therefor parties sign the present Agreement on following:

1. Amend the dates of completion of construction works and commencement of operation of the Bakhvi 3 HPP determined by the Memorandum of Understanding signed between the the Government of Georgia and "Bakhvi Hydro Power" LLC on October 27, 2011 (hereinafter



referred to as: "Memorandum") and extend it until September 1st 2013. Therefore the Annex N4 of the Memorandum shall be amended and read as enclosed addition to this Agreement

2. The Article 3.6 shall be amended and read as follows:

"3.6 For the purposes of Securing construction and commencement of operation of the facility, the Company has provided the Government with the bank guarantee in an amount of 1 666 000.00 (One million six hundred and Sixty-six thousands) USD;

3.6.1 The Government shall be entitled to redeem the relevant bank guarantee presented by the Company, claim and receive the fund in the following cases:

(a) Company breaches the term of obtaining Construction Permit, Commencement, Completion of Construction Works and/or Commencement of Operations.

(b) Company breaches other conditions related to the Facility contained in this MOU or its Annex.

3.6.2 The bank Guarantee submitted by the Company to the Government shall be valid until November 1st 2013. If, due to force-majeure reasons, the term of commencement of operation of Facility under this MOU is extended (moved), the Government may request the extension of the validity term of the bank guarantee presented by the Company or submission of a new bank guarantee on the same terms. In case of failure by the Company to meet these requirements of the Government within the reasonable time, the Government may demand the funds under the bank guarantee effective at the time from the issuing bank."

3. The Article 3.12 shall be added to the Article 3 of the Memorandum.

"The Company is obliged to implement the construction of Bakhvi 3 HPP in accordance with the existing legislation and norms of environmental protection, construction and security standards."

4. The Company's obligations:


4.1 Within the 30 days after signing the present Agreement the Company is obliged to increase the bank guarantee presented to the Government, for the purpose of securing the obligations under the Memorandum, in amount of 1 666 000.00 USD which shall be valid until November 1st 2013;

4.2 Ensure the liquidation of the consequences caused by the accident in (landslide in September 2012) in accordance with existing legislation.

5. Other terms and provisions of the MOU shall remain in full force;


6. The present Agreement, apart from Article 1 and 2 enters into force following its execution. The Article 1 and 2 of present Agreement enters into force only in case the Company has fully fulfilled its obligation under the Article 4.1 of present Agreement;
7. The present Agreement is made in two languages – Georgian and English, three original counterparts in each language. In case of any inconsistency between the two texts, the Georgian text shall prevail.
8. Signatures:

Government of Georgia


Kakha Kaladze



"Bakhti Hydro Power" LLC


Assel Shulenbaeva



JSC "Electricity System Commercial Operator"


Irina Milorava



Terms of Obtaining Construction Permits, Commencement of Construction and Commencement of Operation


N	Name	Obtaining a Permit	Construction Works	Commencement of Operations
1	Bakhvi 3 HPP	Commencement: May 2009	Commencement: October 2011	Trial Period: 1 September 2013
		Completion: October 2011	Completion: 1 September 2013	Operations: 1 September 2013

Government of Georgia




Kakha Kaladze

"Bakhvi Hydro Power" LLC




Assel Shulenbaeva

JSC "Electricity System Commercial Operator"



Irina Milorava



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N181 2013 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს მთავრობას და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის დასაადები შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

ზიბინა ივანიშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

010176891326413

საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№15989

08 / თებერვალი / 2013 წ.

საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს ბატონ ილია ელოშვილს

952
11 02 3

ბატონო ილია,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 5 თებერვლის №03/655 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „მახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი (შემდგომში - „შეთანხმების პროექტი“), რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შეთანხმების პროექტის მე-2 მუხლის 3.6.2 პუნქტის შესაბამის ნაწილში უცვლელად დარჩეს ჩანაწერი: „... თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო...“.

აქვე შევნიშნავთ, რომ შეთანხმების პროექტი შეიცავს რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ: (ა) შეთანხმების პროექტის თარიღი უნდა შეიცვალოს შესაბამისი სამომავლო თარიღით და (ბ) შეთანხმების პროექტის 3.3 მუხლი უნდა დაემატოს ძირითადი ხელშეკრულების მე-3 მუხლს (შარეთა უფლებები და ვალდებულებები).

პატივისცემით,

გ. დავითაშვილი


მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
Electricity System Commercial Operator JSC

12.02.2013 № 01/200



საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

მინისტრის მოადგილეს

ბატონ ი. ვლოშვილს

ბატონო ილია,

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2013 წლის 5 თებერვლის #03/656 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს წიავერობას და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შპსის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ი. მილორავა

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915
office@esco.ge; www.esco.ge

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915
www.esco.ge; office@esco.ge

რეგისტრირებულია ქ. თბილისის საკადასტრო ანგარიშის მიხედვით № 07.08.2006, საიდუმლო 206170036
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 206170036



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის ნომერი: 552313
 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12127023
 ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/11/2012 12:00:50

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ბახვი ჰაიდრო პაუერ
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სანდრო ეულის ქ., №1
 ელექტრონული ფოსტა: assel.shulenbayeva@kgenergy.ge
 საიდენტიფიკაციო კოდი: 205270810
 სამართლებრივი ფორმა: შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 15/01/2009
 მარეგისტრირებული ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია
 საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01005022486, ასელ შულენბაევა, დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01026002520, ელდარ შენგელაია,	5.00000000%	205270810-SH-00003
01015002611, ვლადიმერ გურგენიძე,	5.00000000%	205270810-SH-00004
204968874, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი,	5.00000000%	205270810-SH-00005
404897563, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქეიჯი ენერჯი,	85.00000000%	205270810-SH-00007

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12001291 24/07/2012 17:39:26**
კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869
მესაკუთრე : შპს ბახვი ჰაიდრო პაუერ (საქართველო) 205270810
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონებაარამატერიალური ქონებრივი სიკეთე : არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, CAP000002015, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 120730693, 11.07.2012
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12001295 24/07/2012 18:50:19**
კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869
მესაკუთრე : შპს ქეიჯი ენერჯი (საქართველო) 404897563
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 85%-იანი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საფირმო სახელწოდება: შპს ბახვი ჰაიდრო პაუერ; საიდენტიფიკაციო კოდი: 205270810.
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, CAP000002016, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 120730784, 11.07.2012


მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: <http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

HDC Hydro Development Company

საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს ბატონ ილია...



ბატონო ილია,

მოგესხნებათ, რომ შპს ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი საქართველოს მთავრობასთან 2012 წლის 23 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს 5 მგეტ სიმძლავრის კინტრიშა ჰესის პროექტის განვითარებას აჭარის რეგიონში. კომპანიის მიერ, საქართველოს მთავრობასთან მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, ჩატარებულმა ძირითადმა აზომებმა აჩვენა საარქივო ტოპოგრაფიასა და რეალურ რელიეფს შორის ძირეული განსხვავებები. კერძოდ, პირველადი ვერსიით კინტრიშა ჰესის სადგურის შენობა (ქვედა ბიუჯი) იყო განლაგებული 167 მ. ნიშნულზე. აღნიშნული მონაკვეთის დეტალური შესწავლის შემდეგ გამოვლინდა, რომ სადგურის შენობა განლაგებულია მდინარის მარცხენა ბორცის ტერასაზე, რომლის სიმაღლე აღწევს 35-40 მეტრს და ამავდროულად, ტერასაზე შეიმჩნევა ცოცხალი (მცოცავი) მეწყერის ნიშნები.

გეოლოგიური რისკების შემცირების მიზნით (მოედნის გრუნტები, ფერდების მდგრადობა, გეომეტრიული ზომები და ა.შ.) ჩატარდა შესაბამისი საშუაოები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სადგურის შენობისთვის სხვა პოტენციური მოედნების მოძიებას. შესაბამისად, შერჩეულ იქნა სადგურის შენობის ახალი მოედანი, რომლის ნიშნული უდრის 140 მ.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით კინტრიშა ჰესის ქვედა ნიშნული განისაზღვროს 140 მ., ხოლო ზუსა ნიშნული დარჩეს უკველები 230 მ.

თქვენი მხარდაჭერის იმედით.

პატივისცემით,

პორტეტ ვერრევი

ტექნიკური დირექტორი



Flat 11; Block 11; 1st turn, Kostava St. Tbilisi Georgia

Hydrodevelopcom@gmail.com

Tel: +995 599 104 200 +995 598 867 773